ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 26.1607.1774
16 / სექტემბერი / 2026 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების საფუძველზე, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულების" 8.1 პუნქტისა და შპს „კორტების" 2026 წლის 10 აგვისტოს №10/01262222768-61, 2026 წლის 25 აგვისტოს №10/01262371525-61 და 2026 წლის 31 აგვისტოს №10/01262433059-61 განცხადებების გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად/ გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს:

ა)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანის საკითხი, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;

ბ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულების" 4.2.2 და 4.2[1] პუნქტების საფუძველზე, წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „კორტების" (ს/ნ 405493194) გათავისუფლების საკითხი.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის / დადებითი

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახარო სამართლის იურიდიული პირმა - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს შპს „კორტებთან" (ს/ნ 405493194) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების გაფორმება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი№64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს.ნ.: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებასთან" დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

ქ. თბილისი 30 09 2026 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: **სააგენტო**), წარმოდგენილი გიორგი კობიაშვილის (პ.ნ.: 01008042951) მიერ;

მეორე მხრივ, შპს „კორტები" (ს.კ.: 405493194, შემდგომში: **მყიდველი**) წარმოდგენილი დავით კოპაძის (პ.ნ.: 01013024950) მიერ,

შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: **მხარეები**,

ვინაიდან, სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-624-1-27208 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და მყიდველს შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულება" (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: **ხელშეკრულება**), რომლის საფუძველზეც მყიდველს საპრივატიზებო, საინვესტიციო და სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა №13-ში მდებარე საკადასტრო კოდით რეგისტრირებული №01.10.16.004.282 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 174.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (შემდგომში: **ქონება**);

ვინაიდან, მყიდველმა 2026 წლის 10 აგვისტოს №10/01262222768-61, 2026 წლის 25 აგვისტოს №10/01262371525-61 და 2026 წლის 31 აგვისტოს №10/01262433059-61 განცხადებებით მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდა 2027 წლის 25 მაისამდე მშენებლობის პროცესში წარმოშობილი და გამოვლენილი შემაფერხებელი გარემოებების გამო და აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 16 სექტემბრის №26.1607.1774 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18 სექტემბრის №481 განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „3.2.1.1. ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2027 წლის 25 მაისისა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება ხელშეკრულების 1.1.7 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;"

2. მყიდველი ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში სააგენტოში წარმოადგინოს ხელშეკრულების 3.3.1 ქვეპუნქტის (წინამდებარე შეთანხმების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცვლილების გათვალისწინებით) შესაბამისად ვადაგაზრდილი საბანკო გარანტია.

3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს ეკისრება ხელშეკრულების 4.2.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

4. ყოველივე ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 16 სექტემბრის №26.1607.1774 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 18 სექტემბრის №481 განკარგულების შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან მყიდველის გათავისუფლება არ გამორიცხავს ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების ხელახლა დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს (როგორც 4.2.2, ისე 4.2[1] ქვეპუნქტის შესაბამისად) დაკისრებას.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

6. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.

7. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. შეთანხმება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას უზრუნველყოფს მყიდველი.

9. წინამდებარე შეთანხმება, შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

გიორგი კობიაშვილი (პ.ნ.: 01008042951)

გიორგი კობიაშვილი

შპს „კორტები

დავით კოპაძე (პ.ნ.: 01013024950)

დავით კოპაძე